




ავტორები: დავით კეშელავა, იაროსლავა ბაბიჩი

შესაძლოა ასეთი წელი ვეღარ ვიხილოთ: 2022 წელს რეგიონული და გლობალური კრიზისის ფონზე საქართველოს ეკონომიკური ზრდის წლიური მაჩვენებელი 10%-ს აჭარბებს



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2023 წლის პირველი კვარტლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლების ძირითადი მიგნებები.

ძირითადი მიგნებები:

- საქსტატმა 2022 წლის მეოთხე კვარტლის რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი გამოაქვეყნა, რომელიც ამ ეტაპზე 9,5%-ს შეადგენს (აღნიშნული მაჩვენებელი 2,5 პროცენტული პუნქტით აღემატება ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წინა მიმოხილვაში არსებულ მაჩვენებელს).
- 2022 წელს მშპ-ის წლიური ზრდის პროგნოზი 10,1%-ს შეადგენს, რაც 0,9 პუნქტით ნაკლებია ჩვენს წინა მიმოხილვაში არსებულ მაჩვენებელზე.
- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის 2023 წლის პირველი კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი უცვლელია და 3,9%-ს შეადგენს.

**მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმაპირობებელი ფაქტორები:**

ფულის მასა. ნოემბერში, წლიურ ჭრილში შესამჩნევად გაიზარდა ფულის მასის ყველა აგრეგატი, მათ შორის ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) და ფართო ფული (M3). ფულის მასის M2 და M3



აგრეგატებმა, შესაბამისად, 18,4%-იანი და 9,2%-იანი წლიური ზრდა განიცადა. ამასობაში, მიმოქცევაში არსებული ვალუტა შედარებით ზომიერად, წლიური 7,6%-ით გაიზარდა. ბანკებს გარეთ არსებულმა ნაღდმა ფულმა (M0) წლიური 6,6 %-ით მოიმატა. *საერთო ჯამში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს 2023 წლის პირველ კვარტალში მშპ-ის რეალურ ზრდაში.*

**დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.** ცვლადების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელმაც გარკვეული გავლენა იქონია ჩვენს პროგნოზზე კომერციულ ბანკებში არსებული ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა იყო. ეროვნულ ვალუტაში არსებული ყველა კატეგორიის დეპოზიტის წლიური ზრდის მაჩვენებელმა მოიმატა, ხოლო ზოგიერთი მათგანის (მაგ. დეპოზიტები 3 თვეზე ნაკლები ვადით) ზრდის თვიური მაჩვენებელი ნოემბერში შემცირდა. წლიური 47,2%-ით გაიზარდა მოთხოვნამდე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ვადიანმა დეპოზიტებმა კი წლიური 37,9%-ით მოიმატა. **შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტები წლიური 31,2%-ით გაიზარდა.** დროის იმავე მონაკვეთში, ვადიანი დეპოზიტები თვიურ ჭრილში 0,9%-ით გაიზარდა, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიში წინა თვესთან შედარებით, შესაბამისად, 1,6%-ით და 5,4%-ით გაიზარდა. *ეროვნულ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს პოზიტიური გავლენა ჰქონდათ მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებზე.*

ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტებისგან განსხვავებით, **უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების ზრდის მაჩვენებელი, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ნაკლები ტემპით, 13,1%-ით გაიზარდა.** დროის იმავე მონაკვეთში უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 10%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებული ვადიანი დეპოზიტები წლიური 15,4%-ით შემცირდა. უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების წლიური ზრდის მაჩვენებლის შემცირება ნაწილობრივ ეროვნული ვალუტის გამყარებით იყო განპირობებული. დეპოზიტების დოლარიზაცია 0,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა თვიურად და 3,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა წლიურად. *ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, პოზიტიური წლიური ტენდენციების მიუხედავად, უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე უარყოფითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის მაჩვენებელში.*

**დამატებითი ღირებულების გადასახადის ბრუნვა.** რაც შეეხება კიდევ ერთ საინტერესო ცვლადს, ნოემბერში დღგ-ის ბრუნვა წლიურ ჭრილში 13,1%-ით გაიზარდა, ხოლო თვიურ ჭრილში 4,7%-ით შემცირდა. *საერთო ჯამში, ამ ცვლადმა დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის რეალურ ზრდაში.*

**საქონლით ვაჭრობა.** ნოემბერში საქართველოს ექსპორტი წლიური 14,1%-ით გაიზარდა. ეს, ძირითადად, განპირობებული იყო ავტომობილების (129%-ით ზრდა, რაც 13,3 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), ნავთობპროდუქტების (1983%-ით ზრდა, რაც 2,2 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), მინერალური ან ქიმიური სასუქების (აზოტიანი) (29,3%-ით ზრდა, რაც 1,4 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), წყლის, ტკბილი მინერალური და გაზიანი სასმელების (173,2%-ით ზრდა, რაც 1,4 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) და ყურძნის ნატურალური ღვინოების (16,2%-ით ზრდა, რაც 1,0 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) გაზრდილი ექსპორტით/რეექსპორტით. ამის საპირისპიროდ, წლიური ვარდნა განიცადა ფეროშენადნობების (80,7%-ით კლება, რაც -6,9 პროცენტულ პუნქტს



უტოლდება), ფერადი ლითონების ჯართის, გადამდნარი რკინის ან ფოლადის სხმულების (99%-ით კლება, რაც -1,6 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) და არადენატურირებული ეთილის სპირტის, სპირტიანი სასმელების, ლიქიორის და სხვა ალკოჰოლური სასმელების (29,2%-ით კლება, რაც -1,3 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) ექსპორტმა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის რეალური მოცულობა წლიური 16,1 %-ით გაიზარდა.

**ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 20,4%-ით გაიზარდა**, რაც უმეტესად ავტომობილების, საწვავისა და ნავთობპროდუქტების და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტმა/რეიმიპორტმა განაპირობა. ამის საპირისპიროდ, ვაქცინების, სისხლის და იმუნიტეტის გამაძლიერებელი პროდუქტების იმპორტმა წლიური ვარდნა განიცადა. ამავდროულად, იმპორტის წლიური მაჩვენებელი მხოლოდ წლიური 4,2%-ით გაიზარდა (ამგვარი ზრდა ძირითადად გაზრდილი ფასებით იყო განპირობებული). **შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი წლიური 24,9%-ით გაიზარდა და 752,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა დადებითი გავლენა იქონია მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

**ფულადი გზავნილები.** ნოემბერში **ფულადი გზავნილები წლიური 151,4%-ით გაიზარდა და 521 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** აღნიშნული ზრდის მთავარი ხელშემწყობნი იყვნენ: *რუსეთის ფედერაცია* (819,1%-ით ზრდა, 135,8 პროცენტული პუნქტი), *ყირგიზეთი* (206,4%-ით ზრდა, 6,4 პროცენტული პუნქტი), *აშშ* (20,0%-ით ზრდა, 2,3 პროცენტული პუნქტი), *გერმანია* (41,4%-ით ზრდა, 2,2 პროცენტული პუნქტი), *იტალია* (11,5%-ით ზრდა, 1,8 პროცენტული პუნქტი), *ბელარუსი* (867,7%-ით ზრდა, 1,5 პროცენტული პუნქტი), *სომხეთი* (231,1%-ით ზრდა, 1,4 პროცენტული პუნქტი), გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთ ირლანდია (132,7%-ით ზრდა, 1,1 პროცენტული პუნქტი) და *ტაჯიკეთი* (190,9%, 1,1 პროცენტული პუნქტი). შემცირდა ფულადი გზავნილები უკრაინიდან (99,4%-ით შემცირდა, რაც -3,6 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) და აზერბაიჯანიდან (39,9%-ით შემცირდა, რაც -1,4 პროცენტულ პუნქტს უტოლდება). *საერთო ჯამში, ფულადი გზავნილების ნაკადის აღდგენამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*

**ტურიზმი.** 2020 წელს მკვეთრი შემცირებისა და 2021 წელს სიტუაციის ნაწილობრივ გამოსწორების შემდეგ, ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა 2022 წლის ნოემბერში. **ნოემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი წლიური გამოთვლებით 150,5%-ით გაიზარდა.** ხოლო ტურისტების რაოდენობის (ვიზიტორები, რომლებმაც 24 საათი ან მეტი გაატარეს საქართველოში) ზრდის მაჩვენებელმა 97,9%-ს მიაღწია. *საერთო ჯამში, ვიზიტორებისა და ტურისტების მზარდმა რაოდენობამ, ტურისტული შემოსავლების ზომიერი ზრდის პარალელურად, პოზიტიური წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*

**რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER).** ნოემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) თვიური მაჩვენებლით 0,6%-ით და წლიური გამოთვლებით 18,9%-ით გაიზარდა. თვიურ ჭრილში ლარის რეალური გაცვლითი კურსი (RER) გამყარდა რუსულ რუბლთან (RUB) (1,3%-ით) და აშშ დოლართან (USD) (2,7%-ით) და გაუფასურდა თურქულ ლირასთან (TRY) (0,2%-ით) და ევროსთან (EUR) (1,1%-ით) მიმართებით. უფრო მეტიც, გაიზარდა ლარი/ევროს (29,4%), ლარი/აშშ დოლარის (18,6%) და ლარი/თურქული ლირის (22,6%) რეალური გაცვლითი კურსი (გარდა ლარი/რუბლისა,



რომელიც 4,9%-ით შემცირდა) წინა წლის იმავე პერიოდის კურსთან შედარებით. **REER-ის ზრდა დაკავშირებულია რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების შემოდინებასთან.** *საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

**მსოფლიო ფასები.** მშპ-ის ზრდის პროგნოზირებისას ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ცვლადების ისეთი კატეგორიებიც, როგორებიცაა: მეტალის ფასის ინდექსი (PMETA) და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასის ინდექსი (PRAWM). მეტალს საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, მაშინ როცა საკვები და საწვავი მთავარ იმპორტულ პროდუქციას წარმოადგენს. ამგვარად, მეტალის ფასის გლობალური ზრდა დადებით შედეგს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების ზრდა, მეორე მხრივ, დამაზიანებელი იქნება ეკონომიკისთვის. **წლიური გამოთვლებით, მეტალის ფასმა ნოემბერში 11,5%-ით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასმა 15,4%-ით დაიკლო.** *ამგვარად, მოდელისთვის PMETA და PRAWM ინდიკატორების დამატება ამცირებს მშპ-ის ზრდის პროგნოზს.*

**ინფლაცია.** ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია **10,4%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად აღემატება.** სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის დაახლოებით 4,9 პროცენტული პუნქტი საკვების უფრო მაღალმა ფასებმა განაპირობა. გარდა ამისა, გაზრდილმა საწვავის ფასმაც დადებითი წვლილი შეიტანა (0,4 პროცენტული პუნქტი) წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. **აღნიშნული ტენდენცია, უმეტესწილად, მსოფლიო ბაზარზე გაზრდილი საწვავის ფასების შედეგია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიური 12,8%-ით გაიზარდა).** შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე ინფლაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეების გადაადგილებასთან დაკავშირებული მოთხოვნის გაზრდით. შესაბამისად, შემდეგი ორი ფაქტორი გვადლევს ოპტიმიზმის საფუძველს ინფლაციასთან დაკავშირებით: 1) საწვავის ფასებმა კლება დაიწყო მას შემდეგ, რაც წლის დასაწყისში პიკს მიაღწია და 2) ლარის გაცვლითი კურსი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებით გამყარდა. ამავდროულად, საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 7,2%-ს გაუტოლდა. *საერთო ჯამში, CPI-სთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის პროგნოზში.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ექვეყნდება.